№ 67 **სახალხო გაზეთი** № 67

სამშაბათი, 27 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
**სახალხო გაზეთი**
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
**სურათებიანი დამატება**

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ◆—
—◆ **დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

23 ივლისს, სოფ. ვაკიჯვარში (გურია) გარდაიცვალა

**ოლღა ლომთათიძისა.**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ განსვენებულის მეუღლე **ალექსანდრე ლომთათიძე**, დედამთილი **ელისაბედი**, შვილები: **გიორგი და არსენი და რძალი ელენე**. დაკრძალვა მოხდება 27 ივლისს, ნაშუადღევს, ბახვის ღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში. (2—2)

სოფელ წალისყურში გარდაიცვალა

**კნ. ელისაბედ სოლომონის ასული ფავლენიშვილისა,**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები განსვენებულისა **თავ. დავით, დიმიტრი და გრიგოლ ალექსანდრეს ძენი ფავლენიშვილები** და ქალები **სოფიო ალექსანდრეს ასული ბუჭიაშვილისა, კნეინა ბარბარე ალექსანდრეს ასული ვაჩნაძისა და ელენე ალექსანდრეს ასული მიხაილოვისა.** დაკრძალვა მიცვალებულისა ს. წალისყურში 29 ივლისს, გამოსვენება დილის 10 საათზე. (2—1065—1)

**ქართული სახალხო თეატრი**



სამშაბათს, 27 ივლისს, გაიმართება
**მეათე დღე ფრანგულ მოჭიდავეთა**
**ჩემპიონატისა**
დღეს ჭიდაობენ ხუთი წყვილი ფალავანთა
1) პეტერსონი ეჭიდავება მახოვს, 2) ბერნკადო—მიხელ მაერს, 3) ვანროტენი—რეიბერს, 4) ბული—კოხნელიუს, და იონოშ ნაჯი—მატუშენკოს ჭიდაობის დაწყებამდე ახალი სინემატოგრაფი უჩვენებს სხვა და სხვა საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს საღამოს დასაწყისი 9 საათზე. ჭიდაობისა 10½ საათზე.
**ადგილების ფასი (30 კაპ. 2 მან.) ყველასათვის ხელმისაწდომია.** (1—6.—1)

**გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი**

**„ერი და კაცობრიობა"**

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნ შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

**ადრესი:** Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—24)

**კულაშის ოთხ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი**
**(1872 წლის 31 მაისის წესდებით)**
**აცხადებს:**

1) მომავალ 1910—1911 სასწავლო წლიდან ვაკანსია იქნება მესამე და მეოთხე კლასში (ეს უკანასკნელი პირველ ენკენისთვიდან გაიხსნება).
2) სასწავლებლის ინსპექტორის სახელზე დაწერილ თხოვნასთან უნდა იყვეს: 1) წლოვანების მოწმობა და 2) სწავლა-ყოფაქცევის შესახები მოწმობა იმ სასწავლებლისაგან, საიდანაც მოსწავლე გამოვიდა.
3) სწავლის ფულად დანიშნულია წელიწადში 12 მანეთი იმ მოსწავლეთათვის, რომელთა მშობლები სკოლის შენახვაში მონაწილენი არიან, დანარჩენთათვის კი—18 მანეთია; სწავლის ფული უნდა შემოიტანონ ნახევარ-წლობით.
4) სკოლაში შემომსვლელ მოსწავლეთა გამოცდა დაიწყება 26-ს და გათავდება 30 აგვისტოს.
5) სასწავლებელი აძლევს მსურველთ დაბეჭდილ თხოვნის ბლანკებს. (3—6.—3)

**ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო**

იწვევს მასწავლებელს სხვა და სხვა საგნების სასწავლებლად, მაგრამ განსაკუთრებით რუსული ენის სწავლებისათვის ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში. წელიწადში ექნება ჯამაგირი 1008 მანეთი. თხოვნა მიიღება ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის სახელზე 20 აგვისტომდის. (3—6.—3)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექტ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., [illegible] პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირაღოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი გ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**ხოზიილევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—237)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ვაზაგაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ა. [illegible]**—ყელ., ყურ. ცხვირ და ყოველ დღე 12—1 ს.
**ი. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წთ—6.—398)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ავადმყოფთ მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**სარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**მონზე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
**ხუდაბაშევი**—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.
**აბვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.
**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
**მიკირტუმოვი** დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ ყოვ.-დღე 2—3 ს.
**ი. მ. ახპიხოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—77)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გირონის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყირდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—116)

**ექიმი** გ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში. იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საშებიღ. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—გგ.—15)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე **გადავიდა** იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს. -2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—174)

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—32)

**შპალიერი**
8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო
**ძმ. ბარნოპოლოების**
საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.
განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355
**ფასები საფაბრიკოა.**
ნიმუშები უფასოდ. (50—1046—40)

**მარტყოფის** წმ. ანტონის მონასტრის მლოცველთა და მოაგარაკეთ, რომ მონასტრის გზა ნორიოს მხარეს—წისქვილებამდი უკვე შეკეთებულია თვით მონასტრის საშუალებით. მონასტერში მისვლა გაუმჯობესებულ გაადვილებულია. საზაფხულო სახლები თავისუფალია, გაქირავდება ჩვეულებრივ ფასებში. მონასტრის სავაჭრო დუქანიც უკვე გაიცა იჯარით, თვინიერ არყისა. მარტყოფის მხრის გზაც 1 აგვისტომდე დამთავრდება. (3—6.—1)

**მოითხოვეთ ყოველგან**
ნამდვილი **სვირისა** და **კახური** ღვინოები
**ჩაჩიბაიასი**
იყიდება ყველა **გასტრონომიულ** მაღაზიებში და **სასტუმრო რესტორანებში.**
უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე № 13.
პატივისცემით **ჩაჩიბაია.**
(20—გაჟ.—20)

კვირეული ჟურნალი
**თეატრი და ცხოვრება**
**მოიკითხეთ** კავკასიის რკინის გზათა წიგნის შკაფებში და მეგაზეთებთან. ფასი ყველგან **ორი შაური.** (5—5)

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25—26 ივლისი.

### საზღვარ გარეთ

**სტამბოლი:** ბათუმში დაპატიმრებულ ოსმალეთის პალატის დეპუტატ ბასტრმაჯიანის განთავისუფლებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

23 ივლისს, დილის 4 საათზე დიდი ალიაქოთი გამოიწვია ქალაქის ახლო დაბინავებულ ჯარში მომხდარმა სროლამ. სროლა გამოწვეული იყო ჯარის კაცების დასამშვიდებლად ჯარის-კაცებმა უარი განაცხადეს სირიაში წასვლაზე დრუზების საწინააღმდეგოდ. აჯანყებულ დრუზების წინააღმდეგ იგზავნება 27 ბატალიონი ჯარი.

**სტოკჰოლმი.** 23 ივლისს მოხდა მშვიდობიანობის კონგრესის უკანასკნელი სხდომა, მაჰმადიანთა ფერიდ-ბეიმ მოუწოდა კონგრესს თანაგრძნობა გამოეცხადეთ ეგვიპტეს და სთხოვა ეგვიპტეს საკითხი მომავალ კონგრესზე იქნას განხილული. პოლონელებმა პროტესტი განაცხადეს რომ პოლონეთის საკითხი არ იქნა ჩართული განსახილველ საგანთა სიაში.

**პარიზი.** ქალაქის შუა გულში კიდევ განიზრახეს გოროდოვოის მოკვლა. მძიმედ დაიჭრა გოროდოვოი და მოკვდა შემთხვევით გამვლელი პოლიციის აგენტი.

**თეირანი.** გამოაქვეყნეს მეჯლისის მოწინააღმდეგე პარტიების მეთაურთა შორის დადებული ფიცი. მეთაურები ფიცსა სდებენ დაივიწყონ ძველი შუღლი, დაიცვან კონსტიტუცია, დაემორჩილონ კანონებს და აჰყარონ იარაღი ყველას, ვისაც კი ნებართვა არ ექნება აღებული. შეთანხმება უნდობლობას იწვევს.

**სტოკჰოლმი.** მშვიდობიანობის კონგრესმა მიიღო იტალიის თხოვნა და მომავალი კონგრესი 1911 წელს რომში დანიშნა.

**ბერლინი.** 23 ივლისს გაიყიდა ოსმალეთის ორი ჯავშნიანი გემი „კურფიურსტ ფრიდრიხ ვილჰელმი" და „ვეისენბურგი" 19 მილიონ მარკად.

**მადრიდი.** სან-სებასტიანში დემონსტრაციების მომწყობმა კომიტეტმა გადასწყვიტა არ მოახდინოს დემონსტრაციები, რის შესახებაც მანიფესტი იქნება გამოქვეყნებული კათოლიკეთა გაზეთებში.

**ბარსელონა.** 23 ივლისს, საღამოთი შეტაკება მოხდა კარლისტებსა და რადიკალებს შორის. პოლიციამ მოწინააღმდეგენი გაჰფანტა.

**პორტსმუტი.** წყალ ქვეშ მავალ ნაღმოსან გემ „ა პრიმაზე" აფეთქება მოხდა. დაიჭრა ორი აფიცერი და ოთხი მეზღვაური.

**ვინნიპეგი.** სწრაფი მატარებელი, რომლითაც მიდიოდნენ კანადის მინისტრ-პრეზიდენტი და გზათა მინისტრი, სადგურ რეგინას ახლო საქონლის მატარებელს დაეჯახა. დაიჭრნენ ორთავე მინისტრი და მოკვდა ცეცხლის ამნთები.

**თეირანი.** ქალაქში სამხედრო წესებია, ქუჩებში პოლიციისა და ჟანდარმების გაძლიერებული რაზმები დადიან. ბახტიარებმა მეჯლისი დაიჭირეს, სათოფურები გააკეთეს და გამაგრდნენ. ხალხმა დაინახა თუ არა, რომ ტაგიზადეს პარტიის ხალხი სამხედრო და პოლიციელების ტანისამოსში არიან გამოწყობილნი, თავი დაანება იარაღის ჩაბარებას. ფიდაების რაზმს ხელმძღვანელობენ სათარ ხანი და ბაღირ-ხანი.

**ურმია.** ქურთებმა რამდენიმე ათეულ სოფელ დაუწყვიტეს სარწყავი წყალი. გაანადგურეს არხი, რომლითაც გაჰყავთ ქალაქში სასმელი წყალი. წესიერების აღსადგენად გაიგზანა ერთი ასეული ცხენოსანთა ჯარი.

**სტამბოლი.** სულთანის ბრძანებით დაევალა ოსმალეთის ბერლინელ ელჩს შეიძინოს გერმანიაში 10 მილიონ მარკად ერთ ჯავშნიანი გემი „კრეისერის" სისტემისა.

**სან-სებასტიანი.** მოვიდა ჟანდარმთა ორი ესკადრონი. ვოგზალი ჯარმა დაიჭირა. ქალაქში 2000 კლერიკალმა მოიყარა თავი. დააპატიმრეს ოთხი კაცი, რომელიც ჰყვიროდა: „გაუმარჯოს პაპს". სხვაფრივ წესიერება არ დარღვეულა. სან-სებასტიანის გენერალ-კაპიტანმა კანახელასის თანადასწრებით მომხდარ თათბირზე განაცხადა, რომ წესიერება არ იქნება დარღვეული.

### ჰაერში ფრენა.

**ეკატერინოსლავი.** უტოჩკინი მესამედ აფრინდა. ამინდი ხელს არ უწყობდა, ავიატორმა ძლიერი ქარის გამო ჰაერში დიდ ხანს ვერ დაჰყო და მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე.

**ეკატერინოსლავი.** მიუხედავად ქარიანი ამინდისა უტოჩკინი მეოთხეთაც კარგად აფრინდა. უტოჩკინმა თან აიყვანა მგზავრი ქალი.

**ნოვოჩერკასკი.** დიდი ქარის გამო ინჟინერ გეინის ჰფრენა ვერ მოხდა. გეინი უნდა აფრენილიყო ბლერიოს აეროპლანით. ჰაერში აფრენა გადაიდო კვირისთვის.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** ნიკოლაევის რკინის გზის უფროსი ტურცევიჩი დაინიშნა გზათა სამინისტროს ინჟენერთა საბჭოს თავმჯდომარედ.

**სმოლენსკი.** ქალაქის გამგეობას ნება დართეს გახსნას მეორე რეალური სასწავლებელი.

**პოლტავა.** შეიპყრეს ორი ბოროტმოქმედი, რომლებმაც ლუბენის მაზრაში გაძარცვეს ეკლესია და მოჰკლეს ორი ყარაული.

**სარატოვი.** ზენზევატკაში, (ცარიცინის მაზრა), გადაიწვა 57 სახლ-კარი და 16 კალო ძნებით სავსე.

**ტაგანროგი.** რუსეთის ნაოსნობის საზოგადოების გემი „აიტოდორი" დაეჯახა იალქნიან ნავს. ნავი ჩაიძირა. ჯარი ნავებით გადმოსხეს. „აიტოდორი" ცოტათი დაზიანდა.

**უფა.** სოფ. ბერკეტნიკიუჩში გადაიწვა 150 სახლ-კარი. ცეცხლში დაიღუპა ოთხი კაცი.

**პეტერბურგი.** კიევის ოლქის ინტენდანტი გენერალ-მაიორი ტოპარრაზჩინსკი თანამდებობიდან გადააყენეს.

**პეტერბურგი.** ნოვგოროდის გუბერნია, ტურგაისის ოლქი, მდინარე ვოლგა იარენსკიდან ნიჟნიმდე, მდინარეები კამა, ვიატკა, ბელაია და ვეტლუგა ხოლერის მხრივ საშიშოთ იქნა გამოცხადებული.

**სიმფეროპოლი.** სტაროკრიმის ფოსტის კანტორის უფროსი შეეცადა რევოლვერით მოეკლა გაეჯსკი, რომელიც კანტორას რევიზიას უკეთებდა, მაგრამ იარაღი აჰყარეს. საქმე გამომძიებელს გადაეცა.

**მოსკოვი.** ქალაქის გამგეობამ ხელი მოაწერა ბანკირებთან დადებულ პირობებზე 24,673,000 მან. 4 ნახევარ პროცენტიან სესხის განაღდებაზე: სესხის განაღდება აიღეს ლონდონის „ძმ. ბერინგ“ და ესხვილ მოსკოვის და პეტერბურგის ბანკებმა.

**სიმფეროპოლი.** ვირთაგვების გამრავლების გამო გუბერნატორმა დნეპროვის მაზრის ოთხ სოფელში შინაური საქონლის იარმუკები დახურა.

**მოსკოვი.** ქვემო კოტლის დაბის ახლოს გასცარცვეს რომანოვის აგურის ქარხნის მეარტელე და წაართვეს 4000 მანეთი. მძევარმა შეიპყრო სამი, მეოთხე მცარცველი მიიმალა ფულით.

**კიევი.** არქეოლოგიურ მიზნით თხრის დროს მიტროპოლიტის კარმიდამოზე, სადაც ძველი ტაძრის ნანგრევები იყო, აღმოჩნდა მაცხოვრის ოქროს ხატი, რომელიც ეკუთვნის დიდ მთავრების ხანას.

**ირკუტსკი.** გაიხსნა ციმბირის კუთხის მისიონერთა კრება, რომელსაც დაესწრო ციმბირისა, კორეის, იაპონიისა და ჩინეთის მისიონერები და სხვათა შორის დეკანოზი ვოსტორგოვი.

**ოდესსა.** გაიხსნა გამოფენა პოლონელ მხატვართა სურათებისა. გამოფენილია 300 სურათი.

**გოროდოკი** (ვიტებ. გუბ.) საერობო კომიტეტმა დაადგინა გახსნას მაზრაში 14 ახალი ერთკლასიანი სახალხო სკოლა და 4 ერთკლასიანი ორკლასიანად გადააკეთოს.

2000 შემთხვევა იყო მუცლით ავად გახდომისა, გარდაიცვალა 150 კ.

**სარატოვი.** პოკუროლეიში, ხვალინის მაზრა, დაიწვა 106 სახლ-კარი ყოველივე ქონებით. დაიწვა აგრეთვე 5,000 ფუთი ხორბალი, ზარალი 50,000 მანეთს უდრის.

**სევასტოპოლი.** შავი ჭირი რომ არ გაჩნდეს გუბერნიაში ზომები მიიღეს ვირთაგვების მოსასპობლად.

**იაროსლავლი.** ოფიციალურის ცნობით 5 კვირის განმავლობაში თუჯქული შეხვდა 30,000 სულ საქონელს.

### შავი ჭირი.

**ოდესსა.** მოედანზე და სადგურ „ზოსტავაზე“ აღმოაჩინეს ოთხი შავი ჭირიანი.

**სევასტოპოლი.** სასნიტარო აღმასრულებელ კომისიის საგანგებო სხდომაზე შეიმუშავეს ზომები სევასტოპოლში შავი ჭირის შემოტანის წინააღმდეგ. ოდესაში ექიმი გაგზავნეს და დაავალეს გაეცნოს თაგვების გასაწყვეტად მიღებულ საშუალებას.

### ხოლერა

ხოლერით ავადმყოფთა შესახებ კვირის განმავლობაში სააგენტო იტყობინება: ბაქოში ავად გახდა 183, გარდაიცვალა 57, მორჩა 27. სევასტოპოლში 5, გარდაიცვალა 4; ხერსონში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 6; გუბერნიაში ავად გახდა 947, გარდაიცვალა 371; ოდესაში ავად გახდა 714, გარდაიცვალა 41, ტამბოვის გუბერნიაში 17—21 ივლისამდე ავად გახდა 78, გარდაიცვალა 40, ბარნაულში ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 2; მაზრაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 5; ბერდიანსკში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 10, მორჩა 10; მაზრაში ავად გახდა 137, გარდაიცვალა 58, ქერჩში ავად გახდა 62, გარდაიცვალა 29; კიევში ავად გახდა 50, გარდაიცვალა 28; გუბერნიაში ავად გახდა 563, გარდაიცვალა 164; მოგილევის გუბერნიაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1; ნიჟნში ავად გახდა 102, გარდაიცვალა 19; გუბერნიაში ავად გახდა 220, გარდაიცვალა 113; ორლოვის გუბერნ. ავად გახდა 92, გარდაიცვალა 47; პენზაში ავად გახდა 21, გარდაიცვალა 5; გუბერნიაში ავად გახდა 193, გარდაიცვალა 73; რომანოვსკო-ბორისოგლებსკში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3; როსტოვის საგრადონაჩალნიკოში ავად გახდა 127, გარდაიცვალა 28; რიბინსკში ავად გახდა 45. გარდაიცვალა 20, მორჩა 12; მაზრაში გარდაიცვალა 2; რიაზანში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 3; გუბერნიაში ავად გახდა 308, გარდაიცვალა 102; სამარაში ავად გახდა 231, გარდაიცვალა 25; გუბერნიაში ავად გახდა 1165, გარდაიცვალა 476; სიმბირსკში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2; გუბერნიაში ავად გახდა 308, გარდაიცვალა 82; სიმფეროპოლში ავად გახდა 74, გარდაიცვალა 45; გუბერნიაში ავად გახდა 449, გარდაიც. 235; სტავროპოლში (გუბ.) ავად გახდა 52, გარდაიცვალა 14, მორჩა 30; ხარკოვში ავად გახდა 51, გარდაიცვალა 9; გუბერნიაში ავად გახდა 708, გარდაიცვალა 308; იაროსლავის მაზრაში ავად გახდა 129, გარდაიცვალა 59; მოსკოვში დღე და დამეში ავად გახდა 2 ქალი, 1 გარდაიცვალა. პეტერბურგში ავად გახდა 102, გარდაიცვალა 29, მორჩა 26, ავად არის 719, ქალაქის ახლო ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4, მორჩა 1, ავად არის 23.

პეტერბურგში ავად გახდა 113, გარდაიცვალა 30 მორჩა 15, ავად არის 783 ქალაქის ახლო სოფლებში 7, გარდაიცვალა 2, ავად არის 28.

გორბელის მაზრაში ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა 3, გორბელში არავინ გამხდარა ავად. გადიაჩის მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 1. ნიკოლაევის მაზრის 32 სოფელში ავად გახდა 236, გარდაიცვალა 96 კაცი. ომსკში ხოლერით გარდაიცვალა მოხუცი მუშა. პსკოვში 3.

ჩისტოპოლში ერთი კვირის განმავლობაში ა ად გახდა 2, მაზრაში 27, გარდაიცვალა 5.

პერმის გუბერნიის ოსინის მაზრაში ერთ დღეში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 2. ხოლერამ მოიცვა თითქმის ვარნავინის მთელი მაზრა. ავადმყოფთაგან 50 პროცენტი კვდება. მაზრაში საერობო სკოლების ქალი მასწავლებელნი ამზადებენ საავადმყოფოთ თეთრეულს და ბარაკებში უვლიან ავადმყოფთ. მცხოვრებლებიც უოგვედს დონესა ხმარობენ ხოლერის წინააღმდეგ.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **თავ. ჩერქეზიშვილის სახელობის ფონდი.** ტფილისის ფუნიკულერის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა 20 მანეთი გადასდოს განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის სახელობაზე ფონდის დასაარსებლად.

✦ **პანაშვიდი.** კვირას, 25 ივლისს, ტფ. ებრაელთა სალოცველოში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ თავ. ჩერქეზიშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრენ ქალაქის მოურავის მოადგილე ა. ი. ხატისოვი, გამგეობის წევრნი და განსვენებულის პატივისმცემელნი.

✦ **ხოლერა ქართლში.** მეჯვრისხევის ახლო მდებარე სოფელ ხალ-ებნიდან, გვატყობინებენ, 18—19 ივლისს ხოლერით ავად გახდნენ და გარდაიცვალნენ: 1) მღვდელი ვასილ კასრაძე, 2) ალექსი ცხადიაშვილი, 3) ბესო ტატიაშვილი, 4) სოსო ტატიაშვილი, 5) შაქრო იოულიძე. ავად არიან: მაშო გერკეული, სოსო ფოსიტიძე და მირიჯანაშვილი. ხოლერა მეჯვრისხევშიც მძვინვარებს თურმე.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 24 ივლისის დილის 9 საათიდან 25 ივლისის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი, ხოლერის ნიშნებით —3. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—49 ავადმყოფი, მოემატა—3, მორჩა და გამოეწერა 6, მოკვდა—2, დარჩა—44.

✦ **ხოლერა სოფლად.** როგორც გორიდან გვატყობინებენ, 24 ივლისიდან დღემდე ხოლერით ავად გამხდარა ბორჯომის ხეობის სოფელ ჭობის ხევში—31 კაცი, მოხკვდარა—10, მორჩენილა,—8, ავად არის—13. ხოლერა ყოფილა აგრეთვე ბორჯომსა, ქარელის საზოგადოებასა, და სხვაგან.

✦ **ხოლერასთან ბრძოლა.** ნამესტნიკის მოადგილის განკარგულებით, კიდევ 800 მანეთი იქმნა გადადებული ტფ. გუბერნიაში ხოლერის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველის დაბრუნება.** სვანეთიდან ტფილისში დაბრუნდა კავკასიის ოლქის მზრუნველი რუდოლფი.

✦ **გრაკალის სადგურზე დაცემის გამო.** როგორც გვატყობინებენ, გრაკლის სადგურზე თავდაცემის გამო პოლიციას შეუპყრია ზებიბო აბდუშელიშვილისა და სიმონ წერეთლის ჩაფრები, რომელნიც გორის ციხეში გაუგზავნიათ. ამ საქმის გამო მოწმებად გუშინ, 26 ივლისისათვის გამომძიებელს დაბარებული ჰყავდა რამდენიმე პირი, რომელნიც თავდასხმის დროს გრაკალში იყვნენ.

✦ **ქართლიდან გვწერენ:** 25 ივლისს ღამით ვიღაც უცნობებმა თოფი მოუჭირეს ყელში და გაჰქურდეს თავის სახლში ადგილობრივი მებაღე სტეფანე. მეორე დღეს ამ საქმის გამო პოლიციამ შეიპყრო ორი კაცი—ბაყლები.

✦ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ა. ხახანაშვილის წიგნი „ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“, ისტორიული გამოკვლევა, გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობისა. წიგნი 185 გვერდს შეიცავს და ღირს 50 კაპ. გარეგნულად წიგნი სუფთადაა გამოცემული და კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი. აგრეთვე მიიღო რედაქციამ ბ. სიმონ ქვარიანის მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორიის“ შემოკლებული კურსი. წიგნი. წიგნი შეიცავს 120 გვერდს და ღირს 25 კაპ.

✦ **ხოლერა ს. იგუეთში** (გორის მაზრა). ხოლერის ნიშნებით ავად გახდა ვანო ხუციშვილი. ავადმყოფის მშობლებმა ს. ქალოს ფერშალს ურემი გაუგზავნეს და სთხოვეს დახმარება აღმოეჩინა ხოლერიანისათვის. მაგრამ ფერშალმა ურემი იუკადრისა და ცხენი მოითხოვა. მეურმე გულნატკენი დაბრუნდა სახლში. როდესაც ეს ამბავი გაიგო კატო ზალიშვილმა დაუყოვნებლივ წამალი მიაწოდა ავადმყოფს, ხოლო ფერშალს თავისი ცხენი გაუგზავნა, მაგრამ ფერშალმა საჭიროდ არ დაინახა ავადმყოფის გასინჯვა. ექვსი დღის შემდეგ ხუციშვილი გარდაიცვალა. იგუეთიდან ქალოს წავიდა ორი გლეხი და ერთი აზნაური და ფერშალი ჩამოიყვანეს იგუეთში. გზაზე ხალხი დახვდა ფერშალს და უსაყვედურა, რატომ ან დახმარება არ აღმოუჩინეთ ავადმყოფს ან მიცვალებულის მიწას დეზინფექცია არ გაუკეთეთო. საშინელი სანახავი იყო ხუციშვილის დასაფლავება. სამოცი წლის მამას და ორ ძმას—12 წლისას და 8 წლისას ძლივს-ძლივობით მიჰქონდათ დასაკრძალავად 21 წლის ვანო ხუციშვილი. საინტერესოა, რატომ მამასახლისმა სანიტარები არ გაგზავნა მიცვალებულის დასაკრძალავად ან ფერშალმა რატომ დეზინფექცია არ მოახდინა მიცვალებულის ბინაზე.

✦ **ახალი საზოგადოება თელავში.** მოკლე ხანში რამდენსამე პირის თაოსნობით თელავში არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც მიზნად ექნება დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ გიმნაზიას. საზოგადოების წესდების პროექტი უკვე წარედგინა ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 24 ივლისს ტფილისში ხოლერით ავად გახდა 7 კაცი. მათი გვარები: 1) მარიამ ალამგარიანცი, 2) ხანუმა რასულოვისა, 3) ნიკოლოზ დრუბელაძე, 4) ილია სტრელცოვი, 5) მისი ცოლი მარიამი და 6) შვილი ალექსანდრა და 7) ფილიპე სოროკა.

25 ივლისს ავად გახდა 6 კაცი. მათი გვარები: 1) ილარიონ ჩიმაკაძე, 2) კარსა კასპაროვისა (გარდაიცვალა), 3) იოსებ ვაშაკიძე (გარდაიცვალა), 4) ისიდორე სოროკინი, 5) გიორგი კულაევი (გარდაიცვალა) და 6) ალექსანდრე ხოდკაეინაგოვი (საფეხი ვექილი)

✦ **მადლობა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა ტფ. პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს კაპიტან სტროევს და ტფ. პოლიციას ქალაქის მოურავის თავ. ჩერქეზიშვილის დასაფლავების დღეს საუკეთესო წესრიგის დაცვისათვის.

✦ **ხოლერა.** ალის საზოგადოებიდან გვატყობინებენ, ალის ახლო სოფელში ხოლერით ავად გახდა 5 კაცი, ამათგან სამი გარდაიცვალა და ორი მორჩა. ქარელის საზოგადოების ოფ. კლდუში ავად გახდა და გარდაიცვალა 2 კაცი.

✦ 24 ივლისს პოლიციამ ტფილისში საერთო ჩხრეკის დროს 6 მათხოვარი შეიპყრო. მათ თავიანთ სამშობლოში ასახლებენ.

✦ 24 ივლისს ტფილისში 42 უპასპორტო შეიპყრეს.

## ქველ-მოქმედება და სტიპენდიების განაწილება ჩვენში

(ვ ა კ ვ რ ი თ).

ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, როგორც ქართულ, ეგრეთვე ადგილობრივ რუსულ გაზეთებში, რომ ის საგრძნობელი თანხა, რომელიც ყოველ-წლიურად იხარჯება ჩვენს სტუდენტობაზე, სრულიად ვერ აღწევს განზრახულ მიზანს, რომ ამ სახალხო გროშებით გამოზრდილი ახალგაზრდობა, არამც თუ არ უბრუნებს ხალხს, საზოგადოებას, თუნდა იმავე გროშებს, რაც თავისი აღზრდისათვის მოუხმარებია, პირიქით, დიპლომის მიღებისათანავე, კოკარდის და ბრჭყვიალა ფოლაქებ-გაკრული, ზედ-მეტ მუწუკათ აჯდება საზოგადოებრივ ცხოვრებას...

სამწუხაროდ უმრავლესობას ჩვენ კულტურულ დაწესებულებისას,—სკოლაა ეს, თეატრი, თუ გაზეთი,—ქველ მოქმედებისაკენ აქვს თვალები მიპყრობილი და ხელი გაშვერილი. ყველა შეგნებულ და საზოგადო ასპარეზზედ მომუშავე თანამემამულეთა ყურადღება იქითკენ უნდა მიექცეს, რომ გაადვილოს ხალისი და აუცილებელ მოთხოვნილებად გადაუქციოს ხალხს, როგორც სკოლა, აგრეთვე გაზეთი, თეატრი და სხ. და მაშინ მოწყალებაქველ-მოქმედებას ადგილი აღარ ექმნება: ხალხი თვითვე შეინახავს თვისს სულიერ მასაზრდოებელ კულტურულ დაწესებულებებს.

რაც შეეხება ქველმოქმედების საჭიროებას ჩვენი სტუდენტობის აღზრდაში, უნდა ვაღვიაროთ, რომ უკვე განვლეთ ის ხანა, როცა ჩვენში უმაღლესი სწავლა ხილს წარმოადგენდა და კანტი-კუნ ჯად თუ შეხვდებოდით სტუდენტობას. მაშინ კიდევ ადგილი ჰქონდა ქველმოქმედების საჭიროებას და თვით მაშინდელი (1860—1890 წ. წ.) სტუდენტობაც სულ სხვა თვალით უყურებდა თვის დანიშნულებას. მათი უმთავრესი მიზანი იყო გაუტეხელი შრომით და მეცადინეობით ჯეროვანად განევითარებინათ გონება-შემეცნება, რომ ღირსეული წევრი და და მუშაკი შექმნილიყვნენ თავისი ქვეყნისა. აბა ახლა გაიხსენეთ უმრავლესობა ეხლანდელ სტუდენტობისა, განა კი ღირს მათზე ლაპარაკი? განა დიდ შეცდომად და დანაშაულობად არ უნდა ჩაითვალოს იმათზედ საზოგადო გროშების დახარჯვა მაშინ, როცა ასობით და ათასობით მრავალ კომლოვან ჩვენებურ გამოყრუებულ, მამასახლისისა და „მოსე“ მწერლების ანაბარად მიტოვებულ სოფლებში ვერ შეხვდებით ერთ რიგიან სასოფლო სკოლასაც!?

ამ პირობებშიაც მოსათმენი იქმნებოდა საზოგადოების მიერ დახმარება უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობისადმი, რომ ეს დახმარება—სტიპენდიები, ნაწილდებოდეს არა ნათლიმამურად, არამედ ეძლეოდეს ისეთ ახალგაზრდას, რომელსაც რამე შემოქმედებითი ნიჭის ნიშან-წყალი აცხვია, ან რომელმაც რამენაირად დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება. სტიპენდიების განაწილებაში მარტოოდენ სიღარიბე—გაჭირვებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ვისაც უნდა თავისი საკუთარი ჯიბით გამოიჩინოს გაბედულობა აღზარდოს რამდენი ღარიბი სტუდენტიც უნდა და საზოგადოების გროშებს თავისი განმარტებული და გარკვეული მიზანი უნდა ჰქონდეს.

აქ უადგილო არ იქნება რამდენიმე მაგალითით გავიხსენიოთ, თუ როგორ რიგდება ჩვენში სტიპენდიები. ამ რამდენიმე წლის წინად, როდესაც პირველად ანაწილებდნენ ზუბალაშვილების—მიერ დანიშნულ სტიპენდიებს მეც მივმართე სტიპენდიების დამნიშვნელ კომიტეტს და ვსთხოვე ერთ ახალგაზრდისათვი აღმოეჩინოთ დახმარება. ჩემ თხოვნაში დაწვრილებით აღვნუსხე წარსული იმ ყმაწვილ-კაცისა, რომელიც მეტად გაჭირვებაში პარიზში სწავლობდა, მისი საზოგადოებისადმი სამსახური და ეგრეთვე განვმარტავდი, რომ თვით აღნიშნული ახალ-გაზრდა, ორიოდე წელს სწავლის გათავების შემდეგ, თუ დაუბრუნდება უკანვე მასზედ დახარჯულ ფულს, მე ვპირდებოდი ჩემი მხრივაც კანონიერ თავმდებობის მიცემას და დანიშნულ დროზედ გადახდას. მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ ის ყმაწვილი კანდიდატათაც არ იქმნა ჩარიცხული და ვის გაუნაწილდა ან უნაწილდება სტიპენდიები, იმათ უმრავლესობას მკითხველი უჩემოთაც კარგათ იცნობს.

ან რა საჭირო იყო ამ კერძო მაგალითის მოყვან, როცა მკითხველმა იცის უკეთესებიც: გაიხსენით თუნდა მრავალ სტუდენტთა წრეების საზოგადოებისადმი სამი მიმართვა დაშემდეგ პატივცემულ მცხოვან საზოგადო მოღვაწის ბ. იაკობ გოგებაშვილის რამდენჯერმე დასტამბული წერილი, რომლითაც ითხოვდნენ რომ ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოსს ბ. ფოცხვერაშვილისათვის სტიპენდია დაენიშნათ, მაგრამ, დღეს, აქმობამდისინ ბ. ფოცხვერაშვილი უსახსრობისა გამო საშუალება მოკლებულია განავითაროს უკვე მრავალთაგან ცნობილი, უტყუარი მუსიკალური ნიჭი.

ან აიღეთ მაგ. ისეთი ნიჭიერი, ახალგაზრდა მწერლები, როგორიცაა არიან შანშიაშვილი, გრიშაშვილი და სხვა, მელთა ჯერ-ნორჩი გონება მოითხოვს მაღლიან განათლების სხივით ჯეროვანად გაშუქებას და რომლებიც უსახსრობის გამო მოკლებულნი არიან ამ დამსახურებულ საშუალებას. და თუ მართლა ჭეშმარიტად უღირს და სწადია ჩვენი ქვეყნის კულტურული აყვავება, იმან ყოვლად უპირველესად ასეთ ახალგაზრდებს არ უნდა დაუნიშნოს დახმარება?!

და ბოლოს მე მინდა კიდევ ერთი ცოცხალი მაგალითი მოვიყვანო ჩვენი დაუდევრობისა, რამაც უმთავრესად გამოიწვია ეს წერილიც.

მკითხველი უეჭველია ყურადღებას მიაქცევდა ამას წინად გაზეთებში ახალ ამბად მოყვანილ ცნობას, რომ პარიზში, რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ, აღმოაჩნდა ქანდაკობის ნიჭი ბ. ნ. კ—შვილსა, მწერლობაშიაც ცნობილს „ნაკან“-ის ფსევდონიმით.

ამ ღარიბმა ახალგაზრდამ ვერ გაუძლო პარიზში გაჭირვებულ ცხოვრებას და დაბრუნდა სამშობლოში, რომ ან შრომით, ან საზოგადოების დახმარებით მოიპოვოს რამ სახსარი, უკანვე დაბრუნდეს და ვანაგრძოს თავისი მოწოდების განვითარება.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა ამ დღეებში დაგვეთვალიერებინა ამ ახალგაზრდის-მიერ ორიოდე დღეში თიხისგან დამზადებული ჯერ დაუმთავრებელი ქანდაკებანი: 1) „ქართველი გლეხი“, 2) „სევდა“ და „მტირალა ბავშვი“—და, სწორედ მოგახსენოთ, გაგვიკვირდა, რომ ნარკანმა ამ მოკლე ხანში მოახერხა ხელოვნების შესწავლა და უბრალო თიხას ცხოველი სული შთაბერა. ვისაც სურს ჩვენ ნათქვამში დარწმუნდეს, შეუძლია თვითვე დაათვალიეროს (ადრესი შეიძლება რედაქციაში მიიღოთ) და ახლა არ იკითხავთ რა ჯოჯოხეთურ პირობებში სცხოვრობს და მუშაობს ბ-ნ კ—შვილი?

თუ არ უღრესი გაჭირვება და მოწოდების გულწრფელი სიყვარული, სხვა ვერავითარი ძალა ვერ გააგდებდა ამ ნიჭიერ ახალგაზრდას მამა დავითის ერთ ერთ მიყრუებულ ქუჩაში მდებარე ბნელ და ნესტიან სარდაფში.

და თუ სადმე გაკითხვაა და სიმართლე, თუ ვინმე ღირსია ისარგებლოს საზოგადოების დახმარებით,—ნუ თუ ერთი იმათგანი არ უნდა იყოს ნიჭის მქონე და მშრომელი ახალგაზრდა?!

მაგრამ ბ. ნ. კ—შვილების, ფოცხვერაშვილების და სხვ. უბედურება იმაშია, რომ ლიჯინი და სხვის თავის მობეზრება არ უყვართ და არც ისეთი გავლენიანი და მყარი ბიძია, ან მამიდები ჰყავთ, რომელთა კალთაშიც შეეძლოთ ხელი გაეთბოთ... **გ. ახალციხელი**

## მერძეობის დროებითი კურსები სოფ. დიდ კარაკლისში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ჩვენს მხარეში კერძოდ და საზოგადო ამიერ კავკასიაში მრავლად მოიპოვება იმისთანა ადგილები, სადაც მხოლოდ საქონლის მოშენება თუ ახეირებს პატრონს, სხვა არაფერი. ამისთანა ადგილებისათვის, ფრიად საჭიროა მერძეობის რიგიანად დაყენება; საჭიროა ტეხნიკის გაუმჯობესება; ეს კი შესაძლებელია, თუ სოფელში ჯავიდა ამის მცოდნე ხალხი, ინტელიგენტები, რომელთაც უნდა ითავონ ამ საქმის წარმოება. გაძლოლა ჩვენს ჩამორჩენილ, ჯერ რაც ბნელეთით მოცულ სოფელში საგანგებო სკოლებში სწავლა ბევრ დროსა და ხარჯს საჭიროებს; ბევრთათვის მოუხერხებელია; ამიტომ უფრო რჩეობენ ეგრედ წოდებულ „დროებითი კურსების“ გამართვას; **„მერძეობის დროებითი კურსები“** გამართულია სოფ. დიდ კარაკლისშიაც; გამართულ-მოწყობილია მიწადმოქმედების და მიწათმოქმედების მთავარ გამგეობის ხარჯით; განაგებს მათ ალექსანდრე ჰაირაპეტის ძე ქალანთარი; მუშაობა მთლად აწევს მერძეობის ინსტრუქტორს ბ-ნ ალექსანდრე ხაქარიას თამამშევს და ხაჩატურ მოსეს ძე დილანიანს; პირველს აბარია თეორიული ნაწილი, მეორეს პრაქტიკული. კურსები ასეა მოწყობილი: რძეს ყიდულობენ სოფ. ვოზნესენკაში ადგილობრივ მალაკნებისაგან ფუთს რძეს ერთს მანეთად; რძე სუცხოვეო, დილისაა, ფრიად ღალიანი; იქაურ ანალიზებიდან სჩანს, რომ 4,5 პროც. ნაკლები ცხიმი (жиръ) რძესა არა ჰქონია; ზოგჯერ ასულა 5,9% - ამდენამდეც კი; უნდა მოგახსენოთ კი რომ ევროპაში საზოგადოთ კაი რძედ ის ითვლება, რომელსაც აქვს ცხიმი არა ნაკლები 3,5% ე. ი. ას წილ რძეში უნდა იყოს ცხიმი (ღილა-ნაღები) სამ წილ

ხევარი; ამისთანა რძე აქ ითვლება ძალიან კარგ რძედ; ციმბირის ძროხები იძლევიან მსუქან, ძალიან რძეს—რაც ცხიმის რაოდენობა ადის 4%—4,5%; ეს ძალიან მსუქან, კაი რძედ ითვლება; აქ კი ადის 5,9%-ამდის!

ყოველ დღე მოაქვთ 12 ფუთი რძე: ნაწილს ამ რძისას ჰსყიდიან ადგილობრივ მეაგარაკეებზე, დანარჩენს კი ზოგს ნაღებს ხდიან საგანგებო მანქანით, ზოგს კი მოაყვლებენ, ყველს სწურავენ; ყოველ დღე კეთდება კეფირი, კუმისი და მაწონი; აკეთებენ აგრეთვე ნაღებს, ფრანგულ ყველებს—ბრი და კამამბერს; მერე მაკშტეინის და ტილზიტის ყველს; აგრეთვე ჩვენებურს, თუშურს ყველს, რომელსაც ეძახიან ჩანახ-პანიხი ე. ი. თაბახის ყველი; აკეთებენ ახალციხურ ყველსაც—ძაფსავით რომ იძენძება. მუშაობა იწყება დილით 6 საათიდან და გძელდება შუადღის 2—3 საათამდის; მუშაობენ მსმენელები კურსებისა; მათ ჰხელმძღვანელობენ ბ-ნი თამამშევი და ბ-ნი დილანიანი; ამხანად იქ არის 30-ამდე სერიოზულ მსმენელი, უმეტესად მასწავლებელნი, გამოგზავნილი აქეთ ოლქის უფროსის მიერ; არის რამდენიმე გლეხიც; კურსებზედ ყურადღებას იქცევს გორელი კანდიტერი ბ-ნი ზახარიანცი; ამ გვარს თქვენ თუ მოჰხვდით კურსებზე, ხშირად გაიგონებთ; მოსული სხვებთან ერთად, სწავლა მიღებული არ აქვს, რაც უსწავლია თავისით; ეხლა კურსებზე მისული იგი სჯაბნის მასწავლებლებსაც კი, ბევრს საქმეში; რაც რომ შეუძენია კურსებზე, შეუძენია პირადის შრომით და დაკვირვებით; ისე საქმეს არავინ დაიწყობს მსმენელთაგანი, რომ მას არ დაეკითხოს ასე უნდა თუ არაო; სერიოზულ საქმეს მუდამ მას მიანდობენ ხოლმე; არის აქ ახალქალაქის მაზრიდან გამოგზავნილი თავის მოძმეთაგან ახალგაზრდა გლეხი პ. ტერ-მანველიანცი; ეს ყმაწვილი აქ არის გლეხების ხარჯით;—სადამდე შეგნებულია ახალქალაქელი სომეხი გლეხი; საზოგადოთ ინტერესი სწავლისა ყველასა აქვს, ზოგს, მეტი, ზოგს ნაკლები; იქედან სერიოზულ ცოდნით კი თუ წავა ისევ 2—3 კაცი მეტი არა; სწავლა კურსებზე უფასოა და გრძელდება 2 თვეს; ამ ხანში როგორც ზევით მოვიხსენიე პრაქტიკულ სწავლის გარდა, არის თეორიულიც—ლექციების კითხვა; ასწავლიან აქ სხვათა შორის რძის და მის ნაწარმოებთა კვლევა-ძიების, საშუალებებსაც და რძის ანალიზს. თეორიულ ნაწილს ხელმძღვანელობს ბ-ნი თამამშევი, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა მსმენელთა უგულწრფელესი პატივისცემა და სიყვარული. კურსებზე სხვათა შორის გამოგზავნილია ქუთაისის გუბ. მასწავლებელი [illegible] მაჭავარიანი.

ამისთანა კურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, და ფრიად საჭიროც არის; კარგი იქნებოდა, რომ ადგილობრივ, მთის, ინტელიგენციამაც მოახერხოს სადმე რძის და შესაფერი ბინის შოვნა მთაში—დუშეთ-თიანეთის მაზრებში და კურსები მოაწყოს. ამ კეთილ საქმეს ფასი არ ექნება, ხალხს პატარა თვალს გაუხელს და გულსაც გაუკეთებს; დროა მოჰხედოს ინტელიგენციამ სოფელს, თორემ მერე ვაიმ-და იქნება! დრო აღარ იცის გამარჯვებული გამოდის ამხანად ის, ვინც მეტის ცოდნით და ხერხით არის შეჭურვილი, ბეჩავები უკან რჩებიან, ამას ნათლად უნდა ვხედავდეთ ჩვენ მეზობელ ხალხზე—სომხებზე! დროა, დრო სოფლად […]ხმარებისა და კულტურულ მუშაობის გაჩარხვისა.

ე. კარბელაშვილი.

# პატარა ფელეტონი

## თანამედროვე
(გამოცანა).

[ვ]ინ ხარხარებს, ვინ იცინის
[ქ]ანჯი და გულ-ზვიადი?
[ვ]ინ იძახის ასე რიხით:
ცას ნუ ელტვი, დაბლა ჩადი?

ჰხედავ სახეს? გველის ენას?
ჰხედავ, რა რიგ ის ამაყობს?
გარეგნობით ბატკანსა ჰგავს,
ხელს აფარებს სულს ავადმყოფს.

თვით არარა მუდამ სცდილობს
ბრბოამ აქოს და ბრბომ ადიდოს;
სიტყვით მხოლოდ, მას სიტყვით ჰსურს
ქვეყნის საქმე თავზედ იდოს.

შვილი წამთა დიდებისა
კრებას როგორ დააკლდება?
არატორებს ვაშას ეტყვის,
ელის,—რამეს გამორჩება.

კაბინეტში პუბლიცისტობს
სხვასა ჰკილავს ამაღლებულს;
სამშობლოსაც რიხით იცავს,
დიპლომი აქვს განათლებულს.

მიტომ ჰკიდებს საქმეს ხელსა,
რომ სხვამ უთხრას: ვაშა, ვაშა!
გარედ იკვეხს: მდიდარი ვარ,
შინ არა აქვს რკინის მაშა!

ის ძლიერთან მეტად სუსტობს,
უძლურთან კი ძლიერია;
ქიდაობას არ აკლდება,
მეორე დღეს მშიერია.

ოდეს რამეს ავალებენ,
ის იძახის: ხვალე, ხვალე!
პირ უკან თუ ქალს აძაგებს,
ჩუმად ამბობს: „გენაცვალე".

თავსა იდებს, არად აგდებს:
ადიდებენ თუ ამხობენ;
მაგრამ მალულ ჰსურს შეიტყოს
მასზედ სხვები რას ამბობენ.

მშობელს ენას მედგრად იცავს,
საყვედურით გულით ცხარობს!
შვილებს უცხო ენაზედ ზრდის,
თვით კარგად ვერ ლაპარაკობს.

ეხლა ჰნახეთ, პორთფელი აქვს,
ვექილობს თუ მასწავლებლობს?
ნათესავებს ვეღარა სცნობს,
უმცროსებზე დიდად ჰხელობს.

ჩამოვთვალე რაც კი ზნე სჭირს,
აღარ ვიტყვი ამაზედ მეტს
და თქვენ როგორ ვერ მიუხვდით
ჩვენს მცონარა ინტელეგენტს?

გარდანქეშანი.

# გველი

შენ მიკოცნი ცისფერ თვალებს?
ბიჭოს! ნეტა ვინ გაძალებს?
სცრუობ... არვინ შეგიბრალებს,
სცრუობ, პასუხს ტყვილად ელი.

* * *

გიცან, გიცან გულის სწორო,
გიცან... და მსურს მოგიშორო...
მეშინიან გეამბორო,—
სატანა ხარ! გველი... გველი!

ი. გრიშაშვილი.

# მოწერილი ამბები

**ყვირილა.** აგერ თითქმის ერთ თვეზე მეტია, რაც მაღაზიები სადამ-სადამოებით ექვს საათზე იკეტება, კვირა-უქმე დღეებით კი ხუთზე. სავაჭრო დაწესებულებებში შემოღებულ ამ სამართლიან წესს ბევრი აქაური „ადათაგანი" გულ-ადრენით შესცქერის; ესეთი განწყობილება ახალ კანონისადმი სავსებით შეფერება მათ სულის კვეთებას. რამდენადაც ბუნებრივია ვაჭართა სულიერ ვითარებიდან გამომდინარე უკმაყოფილება, იმდენად არა სასიამოვნოა, როდესაც თვით ნოქრები და შეგირდები თავიანთი საქციელით არა ვაჭართა წრეებში იწვევენ უარყოფით დამოკიდებულობას ახალწესისადმი და ამ უკანასკნელ ჯურის ადამიანებს საფუძველს აძლევენ შემდეგ მსჯელობისათვის: თუ ნოქრებს გონივრულად ვერ გამოიყენებენ თავისუფლებას და კანონით მინაჭებულ თავისუფალ დროს მხოლოდ ფუქსავატობა-დაზდანდარობაში გაატარებენ, ის სჯობია, რომ სავაჭრო დაწესებულებებში გაახერონ მეტ ხანსაო.

რა თქმა უნდა ამ მსჯელობის მეორე ნაწილი შემცდარი და შეუწყნარებელია, ხოლო პირველი კი ზედ-გამოჭრილია ყვირილელ ნოქრებზე. თავისუფალ დროს უმეტესი ნაწილი უაზროთ ყიალ-ხეტიალში ატარებს. არავითარი მაღალი ინტერესი, სწრაფვა გონივრულ ცხოვრებისაკენ, ცოდნის შეძენისაკენ მათ არ ახასიათებს. დუქნების დაკეტის შემდეგ ადგილობრივი წიგნთსაცავ სამკითხველო, რომელიც სადამოს ცხრა საათზე იკეტება, სამი საათით თუ არა ორი საათის განმავლობაში მაინც შეუძლიათ ნოქრებს განსავითარებლად გამოიყენონ. აბა, მიბრძანდით იმ დროს სამკითხველოში, თუ ერთი ნოქარი ან შეგირდი წამლათ მაინც ნახოთ იქ. იტყვით, სამკითხველოს ჯანი გავარდნია, თუ მის გარეშე მაინც ეტანებიან წიგნ-გაზეთებს მაგრამ საუბედუროდ ვერც ამას ვხედავთ. წიგნებისადმი ასეთ უინტერესობის გასამართლებლად შეიძლება გვიპასუხონ, რომ მთელი დღის ნამუშევართ სად შეგვიძლიან კითხვას დავუდოთ თავიო, შესვენება გვეჭირვებაო. მე და ჩემმა ღმერთმა, სწორედ რომ ღირსეულათ ისვენებთ: ოთხ-ხუთ საათს უქმათ ყოფნაში და დაზდანდარობაში ატარებთ.

განათლებულ ქვეყნებში ზემოთ მოყვანილ დასაბუთებას ადგილი აღარ აქვს; დასავლეთ ევროპის მუშა შესვენებას სწორეთ მხატვრულ ნაწარმოებთა და გაზეთ-ჟურნალების კითხვაში ჰპოვებს, რაც ადამიანს გონებას უხსნის, ცოდნას სძენს, გრძნობას და აზროვნებას უსპეტაკებს და ფუქსავატობას აშორებს.

ყოველ-დღიურათ ცოტ-ცოტა კითხვა მძიმე არ იქნება და სარგებლობას ბევრს მოგვიტანს, ამის გარდა, რომ ცხოვრებაში ჩაგვახედებს, წარმოგვიდგენს ჩვენ მტერს და მოყვარეს, გაგვაცნობს როგორც გარემო წრეს, აგრეთვე ჩვენ თავსაც, იგი მასთანავე წაგვრეცხს იმ ჩირქს, რომლითაც ჩვენ შეგვბღალეთ წმიდათა-წმიდა ჩვენი ეროვნულ ცხოვრებისა გული გიკვდება. როდესაც აქაურ ვაჭარს ან ნოქარს უგდებ ყურს. ნამდვილი ცოცხალი, მეტყველი და მოქნილი იმერული კილო ადარსად გესმის. ნაცვლად ამისა იხმარებას ქართულად დამოდრებული რუსული არამც თუ სიტყვები, არამედ მთელი წინადადებანი, მაგალითად. ტოვარნი, დაჩნი პოეზდი, ნაჩალნიკის პომოშნიკი, სტანციის ნაჩალნიკის პომოშნიკი და სხვ. ურიცხვნი. ხშირათ, რომ გამისწორებია მათთვის სიტყვა, პასუხათ გაოცება მიმიღია: „მე კი ქართულათ მგონია-ო და!" აი, როგორ ეკარგება აქაურ ხალხს საკუთარი პირთვნება და გასაოცარი სისწრაფით მიექანება გადაგვარება-დახანაკებისაკენ.

თეატრთან და სკოლასთან ერთად ხალხის გონების განსავითარებლად მიჩნეულია სისტემატიურათ მიმდინარე კითხვა. რა თქმა უნდა, ჩვენ შემთხვევაში ყვირილის ნოქრების უმეტესობა მას უხელმძღვანელოთ ვერ მოაწყობს. ამისათვის საჭიროა მათ დახმარების ხელი გაუწოდოს ადგილობრივად მოშუშავე ინტელიგენციამ და ჭიათურის ინტელიგენტების მსგავსად შეიძლოს ჩვენ გამოჩენილ მწერლების მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვა და გარჩევა. ეს არც თუ იმდენათ ძნელია, რომ მისი მოწყობა შეუძლებელი იყოს და შესაძლოა განხორციელდეს განზრახულ სახალხო უნივერსიტეტის დაარსებამდე, რომელიც სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებებთან ერთად წიგნობრობის სხვა დარგებსაც გაუძღვება.

რაც შეეხება საკითხს, თუ რაგვარ ფორმაში უნდა ჩამოყალიბდეს ზემოთ აღნუსხული მეცადინობა, ჩემის შეხედულებით ამჯობინებს ნოქართა წრეებად ანუ სექციებათ დაყოფა. თვითეულ სექციას უნდა მიეჩინოს თითო ხელმძღვანელი. ყველა წრეები ერთდროულათ შეუდგებიან რომელიმე ერთ განსაზღვრულ მწერლის უმთავრეს ნაწარმოებების წაკითხვას. ამასობაში კი რომელიმე ერთ ხელმძღვანელთაგანს ან სრულიად გარეშე პირს დაევალება წასაკითხავად არჩეულ მწერლის ან რომელიმე ნაწარმოების გარჩევის შედგენა და ასეთი განხილვა ლექციის სახით მიეწოდება ერთად თავმოყრილ ყველა სექციათა წევრებს. თუ ნოქრები ოდნავ სურვილს მაინც გამოიჩენენ სისტემატიურად კითხვის მოწყობაში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ინიციატორებიც მოევლინებათ და აქ ბლომათ მყოფ ნასწავლ ქალებ-ვაჟებიდან ბევრი თავის პირდაპირ მოვალეობათ აღიარებს შეძლების დაგვარი წვლილი შეიტანონ მოძმეთა განვითარების საქმეში.

ვ. არ—ლი.

—

**ღვთაების მონასტერი.** ღვთაების მონასტერი იმყოფება მარტყოფის ტყეში, ტფილისიდგან 25 ვერსის მანძილზე, თვით ამ მონასტერის ეკლესია ისეთ სიმაღლეზე, საიდგანაც ტფილისის მამადავითისა და ვერის ნაწილს ხელის გულივით დასცქერის. ტყე მშვენიერია და წყაროც გემრიელი. აქ არის აშენებული შემომწირველთაგან ორმოცამდე ოთახი, სადაც ტფილისელნი და გარდა იმისა, რომ დღეობენ, სარგებლობენ კიდეც სუფთა ჰაერითა.

უწინ, როგორც საზოგადოთ ყველა ჩვენ მონასტრებში, განმანათლებელ ბერებს უცხოვრიათ; ხოლო დღეს არიან სულ ათამდე მსახურნი. ამ ბოლო ხანებში იქაურ ბერებს ეგზარხის კანცელარიიდგან ეძლეოდა ჯამაგირი, ხოლო ნაცვლად ამისა სარგებლობდნენ მონასტრის სახნავისა, სათიბისა და ტყის შემოსავლით; მაგრამ დღეს იგი ჯამაგირი მოუსპია და არც შემოსავალი დაუბრუნებია.

გარდა ამისა, რომ მამულიდგან შემოსავალი არ დაუბრუნებია ოთახების გაქირავებაც აუკრძალავს, თუმცა ეხლა ნება დართო ეგზარხმა ძველებურად გაქირავდეს ოთახები, რაიცა ერთად ერთი წყაროა მონასტრისათვის.

ამ ერთი თვის წინად მართლა ცუდი გზები იყო, მაგრამ ეხლა იქაური ბერ-მსახური იოსების თაოსნობით შეკეთდა ორივე გზა ე. ი. ნორიოსი და მარტყოფისა რამაც ძალიან გაუადვილდა მისვლა მოსვლა სოფლის მცხოვრებთ და აგრეთვე ტფილისელთაც.

მართალაც არ შეიძლება არ აღნუსხოს ზოგიერთი პირი, რომელიც დაუღალავად მუშაობს იმ ადგილში, სადაც ოდესმე ჩვენი სარწმუნოებრივი სიამაყის ნაშთია.

ს. ტ.

—

**სოფ. ეწერი.** (ქუთაისის მაზრა) როდესაც ჩემმა მეგობარმა წინადადება მომცა ერთი ან ორი დღით გავსცდომოდით ქუთაისის სიცხე პაპანაქებას და სოფლის სუფთა ჰაერი შეგვესუნთქა—სიამოვნებით დავთანხმდი და 19 ამ. თვეს გავემგზავრეთ სოფელ ეწერისაკენ, რომელიც სამხრეთიდამ ოთხი ვერსის დაშორებით მდებარეობს.

ის იყო დღე-ნახევრის სტუმრობის შემდეგ მშვიდობიანად ვაპირებდით უკან გამობრუნებას,—რომ სწორედ ამ დროს ვიხილეთ და ვიგრძენით ისეთი პირწავარდნილი და თავმოშვებული თვითნებობა, რომ შეუძლებელია გულამოკვნესით არ ამოიოხროს ადამიანმა: „უჰ, სოფელო უბედურო. უპატრონოდ მგლების ხელში მიტოვებულო".

ჩვენ ვიცით, გვსმენია და გაგვიგონია, რომ ყოველგვარის ძალმომრეობით არის აღსავსე ჩვენი ცხოვრება, მაგრამ ისე უპატრონოდ თავშინებებული, როგორც ეწერი ვნახეთ, მაინც იშვიათია. მთელ ამ სოფლის ბედსა და იღბალს განაგებს ორი უგიცი ჩაფარი, რომელთაც თავიანთი კანცელარია ფულების ასაკრეფ დაწესებულებად წარმოუდგენიათ და ბრალიანსა და უბრალოს იქით ერეკებიან. რომ თავი დააღწიოს უფრო მეტ შეურაცხყოფას—თავს იხსნის ხოლმე არადდებული ფულით და ბრალდებსაც ჰქრება.

სწორედ ამ მიზნით ჩვენს პაწია ჯგუფს (სულ 6—7 ქალ-ვაჟი ვიყავით) თავს დაგვესხა ორი სითვრალისაგან გალეშილი ჩაფარი. ერთი მათგანი მოტეხილ ტოტიკით ქანაობდა უნაგირზედ. და ლაპარაკის არაქათი აღარა ჰქონდა, მეორეს ღვინისაგან სახე გასჭარხლებოდა და ძლივს იმაგრებდა დამძიმებულ კისერს. ორივე ქართველები აღმოჩნდნენ. ერთი იმავე სოფლელთაგანი. სწორედ ამ დროს ჩვენდა საუბედუროდ ჩემის ხმით გმღეროდით ქართულ კახურ სიმღერას: „წარვედ, წარვედ წყლის პირასა".

უცბად მოგვესმა ენა აბმული რუსული ბღუნუნი: Стой!.. Кто ви такія?.. ჩვენ წინ აკავებული ცხენებით ჩაფრები იდგნენ. Какъ ваши фамила?.. იკითხა წესიერების დამცველმა. ჩვენ გაგვეღიმა. ზოგმა თავისი გვარი ღიმილით მოახსენა. მაგრამ თურმე საქმე სახუმარო სრულიადაც არ იყო. А.. а.. ви марцельски песна наиош!. დაიღრიალა მან და მათრახი მოიმარჯვა. Хорошо. ჰაიდა Канцелярия!.

მოდით და უმტკიცეთ ეხლა ამ გადექილ უცეს, რომ „წარვედ წყლის პირსა" მარსელიეზა არ არის, რომ ჩვენ მართლებივართ და ის კი მტყუანი, რომ კანცელარიაში წასვლა სამი ვერსის სიშორეზედ არ შეგვიძლიან და რადგანაც საქმეს ტლანქი ძალის ბრჭყალები არა სცილდებოდა, მოვითხოვეთ ბოქაულთან ან მის თანაშემწესთან წაგვეყვანეთ.

აღმოჩნდა რომ ბოქაულიც, გუბერნატორიც და თვით მთავარ-მართებელიც ეს ორი ცვაში იყო და მათ საბრძანებელში სხვას ხელი არ ჰქონდა. იყო მხოლოდ მათი სიბრძნის დარბაზი—კანცელარია, სადაც ჩვენების ჩამომრთმევი და ოქმის შემდგენი იგივე ჩაფრები უნდა ყოფილიყვნენ.

მოზდვავდა ხალხი. შეიქნა არაფერზე დიდი ზეიმი. მთელი საზოგადოება გვიდგებოდა თავდებად ჩვენს კანონიერ მოქმედებაში და მხოლოდ დიდი შრომის და მეცადინეობის შემდეგ გამოიცა სასურველი მანიფესტი და გაგვანთავისუფლეს...

ამ წერილს ჩვენ ვაქვეყნებთ სამტრედიის ბოქაულის ბ-ნ აღხაზიშვილის საყურადღებოდ. ნუ თუ ასეთი ზნე დაცემულ ჩაფრებს უნდა ჰქონდეთ ადგილი ქვეყნის სათვლად.

კიდევ კარგი რომ მხოლოდ ზნეობრივ შეურაცყოფით გადავრჩით და ფიზიკურის ძალით მაინც არ დაგვიტანჯენით. მაგრამ რამდენია ისეთი, რომელსაც მათის მათრახის წვერისაგან დღესაც კისერი აქვს აბერილი?!.

უმთავრესი დევ გმირობა ამ შემთხვევაში ჩაფარმა ბესარიონ მცინარაძემ გამოიჩინა.

ჯაფარ-ფაშა.

—

**ს. რუისი** (გორის მაზრა). როგორც ქართლის სხვა სოფლები, რუისიც დიდ არა სანატრელ მდგომარეობაშია. თითქმის ყოველ სახლს გვერდით საქონლის ბაგი აკრავს და შიგ იმოდენა უსუფთაობაა, რომ ხოლერა კი არა, იქნება შავი ჭირიც გაჩნდეს, ამას ზედ დაურთეთ უწყლობაც. თითქმის მთელი სოფელი სვამს ლიახვის წყალსა, რომელიც მოდის ნიქოზიდგან, სადაც უკვე ხოლერა აღმოაჩინეს და აი ამიტომ ადვილი შესაძლებელია წყალი იქიდგან ხოლერის ვიბრიონებით რუისსაც ეწვიოს და მაშინ ნახეთ უბედურება. თუ რუისში ხოლერამ ფეხი მოიკიდა ვედარაფრით ვერ მოვიშორებთ. ახლა არ იკითხავთ—ჰყავს ვინმე რუისელებს გულ შემატკივარი და დამრიგებელი? სრულიად არავინ, არის ასე უპატრონოდ დატოვებული ამოდენა სოფელი, თუ ვინმე რუისში ავად გახდება, ფერშალი ქარელიდგან გამოჰყავთ, მაგრამ ისიც თითო გამოსვლაზე სამ მანეთს იღებს და აბა სად შეუძლიან კაპეიკებულს გლეხს ამის გადახდა და ისევ ღვთის ანაბარად სტოვებს ავადმყოფს. კარგი იქნება ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

მიხეილ მამაცაშვილი.

# უცხოეთი

**გაფიცვა და ლოკაუტი.**

პარიზის სასაფლაოს მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და ამავე დროს თვით დამქირავებლებმაც ლოკაუტი გამოუცხადეს. შეტაკება მუშებისა ამ ნიადაგზე მოხდა. ამას წინად სასაფლაოს ყველა დარგის მუშები შეერთდნენ და სინდიკატი დაარსეს. ამის შემდეგ დამქირავებელთა მოთხოვნილება წარუდგინეს და მოსთხოვეს, არ მიეღოთ ის მუშები, რომელნიც კავშირს გარედა დგანან. მაგრამ ერთმა დამქირავებელმა მიიწვია კავშირის გარედ მყოფი მუშები. მაშინ სინდიკატის მუშებმა მოითხოვეს დაუყონებლივ დათხოვნა დამქირავებელს ასეთი მუშა. მაგრამ ეს მოთხოვნილება არ იქმნა შეწყნარებული. მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და დამქირავებელს ბოიკოტი გამოუცხადეს. თავის მხრივ დამქირავებელმა შეატყობინა ეს ამბავი სხვა დამქირავებელთ და იმათაც ლოკაუტი გამოუცხადეს თავიანთ მუშებს. მუშაობა რომ არ შეჩერებულიყო პარიზის პრეფექტმა განკარგულება მოახდინა და სასაფლაოზე სამუშაოდ გაგზავნა საპიორების რაზმი, რომელიც ერთი დღის განმავლობაში მუშაობდა სასაფლაოზე.

**მოძრაობა ჩინეთში.**

პეკიდან უცხოეთის გაზეთებს ატყობინებენ, რადგან იმპერატორი ხალხის სიტყვით ჰპირდება კონსტიტუციას, საქმით კი იგერ ეს მესამედ უარჰყო შუამდგომლობა პარლამენტის მოწვევის შესახებ, დელეგატებმა გამოაცხადეს, რომ სანამ პარლამენტი მოწვეული არ იქნება ხალხი გადასახადს არ გაიღებსო.

პეკინიდანვე იუწყებიან, რო ჩინეთში დაიწყო ამერიკის საქონლის ბოიკოტი. მიზეზი ბოიკოტისა ის არის, რომ ამერიკაში მთავრობა მეტად უდიერად ეპყრობა ჩინელ ემიგრანტებს.

**ყუმბარების აღმოჩენა ინდოეთში.**

როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ინდოეთის ქალაქ კალკუტაში ჩხრეკის დროს აღმოუჩენიათ ყუმბარების საწყობები და დიდძალი სარევოლიუციო ლიტერატურა.

**ქალთა საარჩევნო უფლება ახ. ზელანდიაში.**

ახალ ზელანდიას 1853 წელს მიენიჭა პოლიტიკური ავტონომია. პოლიტიკურმა თავისუფლებამ ხელი შეუწყო ხალხთა ემანსიპაციის საქმესაც, პირველად ქალებს მიენიჭათ უფლება სკოლების საბჭოს არჩევნებში მამაკაცებთან თანასწორი მონაწილეობა მიეღოთ. საჭირო იყო, რომ ქალებს საკუთარი სახლები ჰქონოდათ. აღსანიშნავია, რომ ქალებს თითონ არ გაუწევიათ აგიტაცია თავიანთ უფლებათა შესახებ. ავტონომიურ ზელანდიის დეპუტატები ლაპარაკობდენ, რომ ქალები მამაკაცებზე არა ნაკლებ ინტერესს იჩენენ ახალგაზრდების აღზრდის საქმეში, ამიტომ მათ მამაკაცებთან თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეთ მინიჭებული. არჩევნებშიც მიიღონ მონაწილეობა და საბჭოს წევრებათაც იქნან ამორჩეულნიო. მართლაც დეპუტატებს იმედი არ გაუცრუვდათ და სკოლის საქმეში ქალებმა დიდი მუყაითობა და სიყვარული გამოიჩინეს. სამი წლის შემდეგ კიდევ სხვა უფლებებიც მიენიჭა ქალებს. სასტუმროებისა, დუქნებისა და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა ნების დასართავად არსებულ კომიტეტის არჩევნების უფლება მიენიჭათ ქალებს, აგრეთვე ამ კომიტეტების წევრებად ყოფნა. ქალებმა კიდევ საქმიანობის დიდი უნარი გამოიჩინეს. ოთხი წლის შემდეგ აღძრეს შუამდგომლობა, რომ ქალებს მიენიჭოთ უფლება საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ. ახალ ზელანდიის საზოგადოებამ ხმა მისცა ამ რეფორმას და მართლაც, ქალებს მიენიჭათ ეს უფლება და პირველსავე არჩევნებში რამდენიმე ქალაქში აირჩიეს ხმოსნებად ხოლო სამ ქალაქში ქალაქის მოურავებად.

1893 წელში პარლამენტმა მიიღო კანონ-პროექტი ქალთა საარჩევნო უფლების შესახებ. ამ წლიდან ქალები მონაწილეობას იღებენ საპარლამენტო არჩევნებში. საარჩევნო ბრძოლაში ქალები დიდ მონაწილეობას იღებდენ. არჩევნებში ქალები და კაცები თითქმის თანაბარ მონაწილეობას იღებდენ. ქალთა საარჩევნო უფლების მოწინააღმდეგენი ამტკიცებდენ, რომ რა საჭიროა ქალებს საარჩევნო უფლება მიენიჭოს, სულ ერთია, ისინი ქმარისა და შვილს მიჰბაძავენ და ხმას იმას მისცემენ, ვისაც ქმარ-შვილი. თუ ასე არ მოხდება მაშინ ოჯახში

უთანხმოება ჩამოვარდებაო. ნამდვილად არ გამართლდა ეს მოსაზრება. ქალებმა დიდი ინდივიდუალობა, დამოუკიდებლობაც გამოიჩინეს და ამავე დროს ოჯახში უთანხმოება არ მომხდარა. მას შემდეგ, რაც ქალებს უფლება მიეცათ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ, მეტად გაიზარდა ინტერესი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებისადმი და პარლამენტისადმი.

## თეატრი და ხელოვნება

**ქ. თელავი.** ილიაობას—20 ივლისს ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად თელავის ქ. შ. წ. კ. საზოგადოების განყოფილების გამგეობამ გამართა საღამო. ამ საღამოს თამამად შეგვიძლიან უწოდოთ ილიას საღამო. მთელი შინაარსი პოეტის ნაწარმოებიდან იყო ამოღებული. საღამო ოთხ ნაწილისაგან შესდგებოდა: წარმოდგენა, კონცერტი, აპოთეოზი და ბოლოს ცეკვა.

საღამოს დიასახლისობდა წ. კ. გამგეობის წევრი კნ. ანნა ნ. ჭავჭავაძისა, რომელმაც შრომა და მუშაობა არ დაზოგა საღამოს კარგად მოსაწყობად. მომღერალთა გუნდს ლოტბარობდა ბ-ნი ზაქარია ი-ძე ჩხიკვაძე და იგი ხომ თითქმის ყოველ წელიწადს ჰმართავს კონცერტებს და საზოგადოება ყოველთვის კმაყოფილი რჩება ხოლმე. მიწვეულ იყვნენ აგრეთვე როიალის დამკვრელი ქ-ნი ა. ი. ვოლოხოვისა, ცოცხალ სურათებისთვის ბ-ნი მ. ს. აჯიმამუდოვი და სხვ. როდესაც გავიგეთ, რომ საღამოს მოწყობაში ეს პირნი იღებდნენ მონაწილეობას იმედი დაგვებადა საღამო კარგად იქნებოდა მოწყობილი.

მიუხედავად იმისა, რომ კოკის პირულმა წვიმამ დაუშვა, მაინც თელავის საკრებულო დარბაზს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ სკამების ჩამატება დასჭირდათ. იყვნენ როგორც ქართველები, ისე სომხები, სოფლებიდანაც ბევრნი ამოსულიყვნენ.

პირველად დასდგეს ილიას „ბატონი და ყმის“ მესამე მოქმედება, რომელიც გვარიანად ჩაატარეს ჩვენმა სცენის მოყვარეებმა; რასაკვირველია უკეთესად შეეძლოთ ეთამაშნათ, მაგრამ პიესა წინა დღეს იშოვეს და ორი რეპეტიციის გავლა ღა მოასწრეს.

მეორე განყოფილებაში აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდა 30 კაცისაგან შემდგარი ქალ-ვაჟთა მომღერალი გუნდი ბ-ნ შაქრო ჩხიკვაძის მეთაურობით. გუნდმა შეასრულა ოთხი სიმღერა, რომელიც შესდგებოდა სამ-სამ ნაწყვეტებისაგან ილიას ლექსებიდამ ამოღებული.

მიუხედავად იმისა, რომ მომღერალთა გუნდს სულ ერთ კვირაში მოუხდა მომზადება, სიმღერები მშვენივრად შეასრულეს და საზოგადოების თხოვნით რამდენჯერმე გაიმეორეს. მომღერალთა შორის ამ საღამოთი ირჩეოდა კნ. ლიზიკო ყარალაშვილისა. საზოგადოდ ყარალაშვილების გვარი ცნობილია კახეთში თავისი ხმით და სიმღერებით, მხოლოდ კნ. ლ. ყარალაშვილის ნაზი, წკრიალა ხმა და მასთან თავისუფალი სიმღერა მთელი საზოგადოების ყურადღებას იქცევდა, სამწუხარო იქნება მისი ნიჭის ასე უნაყოფოდ დაკარგვა. კნ. ყარალაშვილისამ თავის ხმას რომ წესიერი ყურადღება მიაქციოს და როგორმე მოახერხოს კონსერვატორიაში წასვლა იგი ერთი საუკეთესო მომღერალი ქალი დადგება.

სიმღერის შუა, ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ბ. ახოსპირელი და ი. მჭედლიშვილი მოხდენილად კითხულობდნენ ლექსებს. სხვათა შორის მჭედლიშვილმა წაიკითხა ამ საღამოსთვის მიძღვნილი „მყინვარი“. ქ-ნმა ანნა ივ. ვოლხოვისამ როიალზე რამდენჯერმე დაუკრა.

სხვათა შორის ამ საღამოთი დაუკრეს სკრიპკებზე ბ-ნმა ქურავსკიმ და ვ. ჩხიკვაძემ, ვოლოხოვის და ყარალაშვილის აკომპანიმენტით. რასაკვირველია მუსიკის დაფასება სპეციალისტის საქმეა, მაგრამ არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ ვანო ჩხიკვაძეს — ჯერ სულ ახალგაზრდას, ეხლავე ეტყობა მუსიკის ნიჭი. მან კარგათ და ძალ დაუტანებლად შეასრულა თავისი ნომერი და საზოგადოებისაგანაც სამართლიანად ტაში დაიმსახურა.

შემდეგ გაიმართა აპოთეოზი: აგერ უზარმაზარ—თოვლით შემოსულ კავკასიონის მთაზე ამართულა მყინვარი, იქვე გამოქვაბულში განდეგილ—ბერს დაჩოქილს, ხელები აღუპყრია, მაღლიდამ აჩრდილი მოსჩანს, იქით დიმიტრი თავ დადებული მის წინ მოხუცებული ქართველი მამა თავის ორი ახალგაზრდა შვილს მეფეს და სამშობლოს სწირავს, მეორე გვერდზე ისევ ილიას დედა და შვილი, კავკასიონის მთებზე თამარ დედოფალს უჭირავს სულ ზენათ ილიას დიდი სურათი, მუზა-კიდევ მეორე მხრიდამ ქნარს უძღვნის ამ სურათის დროს ახალგაზრდა პოეტი ახოსპირელი განდეგილიდამ ნაწყვეტებს ჰკითხულობდა. ეს განყოფილება საზოგადოებას მეტად მოეწონა.

დასასრულ გაიმართა ცეკვა. ცეკვა, რასაკვირველია, უფრო ეროვნული. სადღაა ნამდვილი ქართული თამაში, თავდახურულ ქართველი ქალის ცქრიალი, ლეჩაქის ფრიალი და ყურთ-მაჯიან ხელების გაშლა. — ყველა ეს შეცვლილა ევროპიულ ცეკვაზე, და კაბის აწევით ფეხების თამაშზე. ცეკვის დროს უკრავდა დუდუკი და სიმებიანი ორკესტრი 11 ყმაწვილისაგან შემდგარი. ჰყვანდა განსაცვიფრებლად თურმე ფასით ყოფილიყვნენ და ისიც 15 მ. ნაკლებ არ მოსულიყვნენ (მეტი ეთხოვნათ). მაგრამ სამწუხარო, ის უფრო რომ ამ ორკესტრში სამი სტუდენტი იყო და დანარჩენები მოწაფენი, ამათ 15 მანეთი გამოართვეს წ.-კითხვის საზოგადოებას.

საღამომ წესიერად და მყუდროდ ჩაიარა, რასაც უნდა ვუმადლოდეთ საღ. გამგეს კნ. ან. ჭავჭავაძისას და მის თანაშემწეებს.

**დაგიწყებული.**

—

**ბახმარო** (ოზურგეთის მაზრა). მიუხედავად იმისა, რომ სეზონი ბახმაროზე 20-25 ივნისში იწყება და 1 ივლისისთვის აქ მოაგარაკეთა რიცხვი უკვე საკმაოა, წარმოდგენის მოსმენას მხოლოდ 18 ივლისს ველირსეთ; მაგრამ, უნდა გამოვტყდე, დიდ ბედნიერად არა ვრაცხ თავს ასეთ წარმოდგენაზე დასწრების გამო. წარმოსადგენად ამოერჩიათ სამ-მოქმედებიანი მეტად უშინაარსო კომედია თუთაევისა „ბედმა მიღალატა“. ეს სუსტი დრამატიული ნაწარმოები რომ გვარიანად მაინც შეესრულებინათ, შეიძლება ცოტა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოეხდინა, მაგრამ აქაურ „სცენის მოყვარეებმა“ ისე გლახად შეასრულეს თავიანთი როლები, თითქოს სცენის აბუჩად აგდება მათ მიზნად ჰქონოდეთ დასახული.

რასაკვირველია, სცენის მოყვარეებს ვერ მოვთხოვთ სავსებით მას, რაც პროფესიონალურ მსახიობთ მოეთხოვებათ, მაგრამ მოთხოვნილებათა მინიმუმის შესრულება სცენის მოყვარეთა მიერაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს; მაგალითად, საანბანო ჭეშმარიტებად უნდა გახდეს ის აზრი, რომ სცენის მოყვარეობა ყველას არ შეუძლიან, რომ ამისათვის საჭიროა ხეირიანი გამოთქმა და არა ცხვირში ნილინილი; საჭიროა გვარიანი მიხვრა-მოხვრა და არა მოუხეშავად სცენაზე ზოზინი; აუცილებლად საჭიროა როლის კარგად ცოდნა, რადგან დასელოვნებულ არტისტს როლის უცოდინარობა იმდენად არ დაემჩნევა და ყოველ შემთხვევაში სამი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ სუფლიორის პირში არ დაუწყებს ცქერას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დასახელებულ წარმოდგენაზე.

რადგან ეს წარმოდგენა დეფექტებით იყო სავსე, ყველა მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს; მივუთითებთ მხოლოდ რამოდენიმეს. სოფიო (ქ-ნი ცინცაძე) ცხარე ტირილის დროს თმის გასწორებას და კოხტაობას უნდებოდა; ერთხელ ტირილი იმ დროს დაიწყო, როცა დამშვიდება დაუწყეს: „ნუ სტირიო“; საქმროსთან გამომშვიდობების დროს თავს მშვენივრად ჰგრძნობს, პირისახეზე არავითარი ცვლილება არ ეტყობა, მხოლოდ უეცრად ლოგინზე წამოწვება, თურმე გული შეუწუხდება... თვით საქმრო—ლევანი (ბ-ნი ჯანელიძე, რომელიც ომში მიემგზავრება, ისე ეთხოვება თავის სატრფოს, თითქოს ორი-სამი საათით საქეიფოთ მიდიოდეს. არავითარი გრძნობა, არაფრის გამოხატულება... ბიჭის როლს ბ-ნი ბოლქვაძე ასრულებდა, და როლი სრულებით არ იცოდა.

„ბედმა მიღალატის“ შემდეგ მუსიკალური განყოფილება მოვისმინეთ. უკრავდა ხორო გიტარისა და მანდოლინაზე დამკვრელებისა, ბ—ნ დილიძის ხელ-მძღვანელობით. ხორომ დამსწრე საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. საჭირო იყო მეტი მომზადება.

ყველა ამ შენიშვნებს ვიძლევი მხოლოდ იმისთვის, რომ ვისაც ჯერ არა ყურადღება მიაქციონ და შემდეგისთვის მაინც უფრო რიგიანად მოაწყონ ხოლმე წარმოდგენები, მეტი შრომის უნარი გამოიჩინონ, აქ ისეთი ძალები მოიპოვებიან, რომ ექვს გარეშე წარმოდგენების უფრო ხეირიანად დადგმა ყოველთვის შეიძლებოდა, მხოლოდ ნაცნობობით და მეგობრობით როლების განაწილება თავიდან უნდა ავიცილოთ. საჭიროა საქმის ცოტად თუ ბევრად მცოდნე პირები მიიწვიონ და შრომა არ დაიზარონ.

ურიგო არ იქნება მოსწავლე ახალგაზრდობას დაკლებულ ფასებში დაუთმონ ბილეთები.

**სტ. მიხაილოვსკი.**

—

**რუისი.** წარმოდგენა სამს წელიწადში ერთხელ თუ გაიმართება. მადლობის ღირსია ადგილობრივი მასწავლებელი ბ-ნი პ. თოთიბაძე, რომელმაც ბუნდოვანი სურათები არჩვენა ხალხს და ცოტათი მაინც ასიამოვნა ისინი.

**მ. გ—შვილი.**

## რუსეთი

**ესტონელების ფული და სასწავლებელი.** რამდენიმე ათი წლის წინად ესტონელებმა შეაგროვეს 100,000 მან. რომელიც უნდა მოხმარებოდა სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას, სადაც სწავლა უნდა სამშობლო ენაზე ყოფილიყო. რადგანაც იმ დროს ეს ვერ მოხერხდა, არჩეულ იქნა სამზრუნველო და ზემოაღნიშნული თანხა გადაცემულ იქნა სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში. ამ სამინისტროს წინადადებით სამზრუნველომ ფულის პროცენტებით გახსნა ალექსანდროვის სამოქალაქო სასწავლებელი. 1905 წელს სამზრუნველომ მოისურვა შესდგომოდა სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას და დაკეტა სამოქალაქო სასწავლებელი.

სამიწად-მოქმედო სამინისტრო დასთანხმდა სასწავლებლის დაარსებაზე, მხოლოდ მოითხოვა ფული მის განკარგულებაში გადასცემოდა. სახალხო განათლების სამინისტრო იმ დროს დასთანხმდა. წარსულ წელს, როგორც იყო მისცეს ადგილი სასწავლებლის ასაშენებლად. სამზრუნველომ მიმართა სახალხო განათლების სამინისტროს და სთხოვა დაპირება აესრულებინა და ფული მიწად-მოქმედების მთავარ სამმართველოსთვის გადაეცა. აი აქ დაიწყო ისტორია. სახალხო განათლების სამინისტრომ არამც თუ უარი უთხრა ფულის გადაცემაზე, ბ. შვარცმა განუცხადა რომ თუ სამზრუნველო არ გახსნის 1905 წელს დაკეტილს სასწავლებელს, მაშინ თითონ სამინისტრო გახსნის... და რასაკვრელია, ესტონელების ფულით. სამიწად-მოქმედო სამინისტროც თავის მხრივ სასწავლებლის გახსნის ნებას არ აძლევს სანამ თანხა მას არ გადაეცემა. სამზრუნველოს აქვს ეხლა ადგილი შენობის ასაგებად, სასწავლებლის გახსნის ნებართვას კი ვერ ეღირსა. რადგანაც ყოველნაირი შუამდგომლობა და თხოვნა მინისტრების წინაშე უშედეგოდ რჩება, ამიტომ ესტონელმა დეპუტატებმა გადასწყვიტეს სახელმწიფო სათათბიროს შემოდგომის სესიაში შეიტანონ საკითხი ამ 100,000 მ.ნ. თანხის ბედ-იღბალზე

**საექიმო საზოგადოების დახურვა.** ვარშავში, პოლონელ ექიმთა საზოგადოების სადგომში მივიდა პოლიცია და განუცხადა საზოგადოების გამგეობას გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით საზოგადოება დახურულიაო, წიგნები და ოქმები დაბეჭდეს. ამასთანავე წინადადება მისცეს სამი დღის განმავლობაში საჩქაროდ მოიწვიონ კრება საზოგადოების საქმეთა სალიკვიდაციოდ. საზოგადოება დახურეს სენატორ ნეიდგარტის მოხსენებას მიხედვით. ნეიდგარტმა შინაგან საქმეთა მინისტრს მოახსენა, რომ საზოგადოების მოქმედება არ ეთანხმება საზოგადოებების წესდებ საო.

**სამხედრო სასამართლოს მოქმედება.** 1910 წლის პირველ ნახევარში რუსეთში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 294, სიკვდილით დასაჯეს 110 კაცი. დააჯარიმეს 84 გაზეთი.

**გუჩკოვი პეტრეპავლეს ციხეში.** გუჩკოვი უკვე ჩაჯდა პეტრეპავლეს ციხეში სასჯელის მოსახდელად. როგორც ვიცით, გუჩკოვს დაპატიმრება [illegible]-ჯეს დეპუტატ უვაროვთან დუელის გამო. გუჩკოვი ზის სწორედ იმ საკანში, სადაც გენერალი სტესელი იჯდა.

**1910 წლის სახელმწიფო შემოსავალი.** მინისტრთა საბჭოს კანცელარიამ ცნობები წარუდგინა მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის რუსეთის ეკონომიურ და ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს სახელმწიფოს სხვა და სხვა ადგილებში. საზოგადო საკუთრებას გამოეყო 1,239,157 კომლი, ამ გლეხებს გამოყოფის დროს ერგოთ 9,132,565 დესეტინა მიწა. საგლეხო ბანკის მოქმედება მიწის გაყიდვის შესახებ და გლეხებზე სესხის მიცემის საქმეში და გამოიხატება შემდეგში:

1910 წელს გაიყიდა 248,097 დესეტინა 32,987,192 მანეთად. სესხად გაეცა 30,995,926 მან, ამას გარდა ბანკის წესდების 97 მუხლის ძალით გაიცა 163 სესხი 677,660 მანეთისა 7,755 დესეტინა მიწის გირავნობით; ეს მამული გაიყიდა ბანკის დაუხმარებლად და 490 სესხიც 4,589 დეს. ნადელის მიწის გირავნობით, სატყეო დეპარტამენტის შემოსავალი 1 იანვრიდან 1 მაისამდინ უდრის 23,645,501 მ. 42 კ. რომელიც 3,645,501 მან. 84 კაპ. აღემატება 1909 წლის იმავე დროის შემოსავალს. 1 იანვრიდან 1 მაისამდე სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადები უძრავ ქონებაზე, ბინისა, ძირითად მრეწველობაზე, წარმოებისა, ჯარიმებისა, გერბის გადასახადისა და მემკვიდრეობითი გადასახადებიდან შემოსავალი უდრის 73,764,922 მან. 4,329,109 მანეთით მეტი წასული წლის 4 თვის შემოსავალზე.

არაპირდაპირ გადასახადებიდან 1910 წ. პირველი ოთხი თვის შემოსავალი ევროპის რუსეთიდან უდრის 259,487,889 მან. 26,087,889 მ.ნ. მეტი 1910 წლის ხარჯთაღრიცხვა შედარებით: ხოლო აზიის რუსეთიდან ამავე დროს განმავლობაში 19,169,545 მან. (2,341,545 მან. მეტი განზრახულ შემოსავალზე.) საბაჟო შემოსავალი სახელმწიფოს ყველა საზღვრებიდან 1910 წლის პირველ ოთხ თვეში უდრის 96,766,000 მან. რკინის გზებიდან შემოსულა 9,245,989, მან. 73 კ. ოთხი თვის განმავლობაში (480,354 მან. 16 კ. მეტი 1909 წლის ამავე დროს შემოსავალზე).

საქონლის გატანამ საზღვარ-გარედ და აგრეთვე შემოტანამ 1910 წ. პირველ ოთხ თვეს შესამჩნევად იმატა. პურის გაზიდვამ. რაოდენობით 43 პროცენტით ფასის და 46,3 ნახ. პროცენტით საზღვარგარეთიდან შემოაქვთ უფრო დაუმუშავებელი და ნახევრად დამუშავებული საქონელი. იმატა აგრეთვე სამიწად-მოქმედო იარაღების შეტანამ.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ „სახალხო გაზეთში“ შემდეგს:

რომ ჩემმა პიესამ „აშენდა საქართველო“ ისეთი სახე არ მიიღო, როგორც ბევრსა ჰგონია—ვაცხადებ საყოველთაოდ „რომ პიესა „აშენდა საქართველო“, სარეპერტუაროდ და გასავრცელებლად არ მინდა, ამიტომ მის წარმოდგენების ნებას, ჩემდა დაუკითხავად არავის არ ვაძლევ, გარდა მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებულ კურსების მოსწავლე ალ. წუწუნავასი, რომელმაც იცის პიესის დანიშნულება და რომელსაც ვენდობი.

პატივისცემით **კ. ფოხვერაშვილი.**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—151

## დოქტ. ნანასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნანასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ჟ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ე საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნანასარდიანი.**

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

## მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.


## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—ხაღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—ხაღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |


საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ანბანი კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებ. ს მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

## კატალოგი

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის, №.3**

**I**

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20
3. ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . 50
4. ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . . 10
5. ახალი აღთქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40
6. სახარება.

**II**

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . 40
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . . 20
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . . 1 მ. 25
14. დუტუ-მევრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . . 70
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. . 5
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . , . . . . 1 მ. 30
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . . 20
19. იერეთელი პ დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . . 20
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова, Моск, 1908 г. . . . 20
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ. 50
23. ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ. 15
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . . . . 3
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . 5
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . . 20
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . . . . 5




მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

## სწორე და მკვიდრი საათები!

**ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კა[...] საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. [...] რიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩე[...] შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი ხაზურავით «ს ე[...] ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქრ[...] საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქ[...] აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვი[...] შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი [...] აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. [...] ათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თ[...] სებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით [...] სიკარგის ნიშნი“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს [...] საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთ[...] და გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზ[...] ვნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| ПАРИЖЪ 7 PARIS | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |
|---|---|

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ მეწკვს ბრელოკით და ზამშ[...] ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრ[...] 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრ[...] კონვერტზე ან ღია ბარათზე. (50—6)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ტფილისის ქალაქის უძრავ ქონებათა პატრონთ, რო[...] ქალაქის უძრავ ქონებათა შემფასებელ-აღმასრულებელი კომისია უ[...] ათავებს ქონებათა შეფასებას მეთერთმეტე უბანში და 1910 წლ[...] 2 აგვისტოდან შეუდგება ქონებათა შეფასებას მეათე უბანში, საღ[...] შეუდგებიან მუშაობას ყველა შემფასებელი ჯგუფები. (1—ნ.—1

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო

ჟ უ რ ნ ა ლ ს

## „განათლება“-ზე

(წელიწადი მეხამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და გა[...] გზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც [...] მოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს [...] ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გაგზავნით, სოფლის მასწავლებე[...] თათვის **ორი მანეთი.** ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადოებ[...] წიგნის მაღაზიაში“—**ივანე ავალიშვილთან,** „ნაკადულის“ რედაქციაში და კე[...] აგენტებთან.

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимна[зия] Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

## ი ყ ი დ ე ბ ა

სახლის ადგილებად მიწა ნაჭერ-ნაჭრად ზომით თითო 84 ოთხკ. საჟ[...] და მეტი. ადგილი მეტად საღ და მშრალ ადგილზეა ნაძალადევში, [...] სადაც განზრახულია მისავალ ტრამვაი გაჩერდეს ხოლმე. ფასი ადგილ[...] სა საჟენი 5 მანეთიდან. ვისაც უნდა ადგილების დათვალიერება მიმა[...] თოს დარაჯს იავორს, ყურგნისა და მაგისტრალის ქუჩების კუთხეებ[...] ნაძალადევში. ცნობებისათვის მიმართონ ნოტარიუსს სტრახოვს, ერ[...] ვნის მოედანზე. (3—